

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
(ხელნაწერის უფლებით)

ნინო შაფათავა

დისერტაციის დასახელება:

ტურისტულ საკურორტო მოდელების განვითარება  
საქართველოს მაღალმთიან ზონებში

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აკტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება. შიფრი – 02

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების  
დეპარტამენტში

**ხელმძღვანელი:**

ეკონომიკის დოქტორი,

სტუ-ს პროფესორი

ბესიკ ბარკალაია

**რეცენზენტები:**

1. -----  
-----

2. -----  
-----

დაცვა შედგება 2016 წლის „-----“, -----, 15 საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი ----- აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის ფაკულტეტის  
ვებგვერდზე

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი

ს. ხიზანიშვილი

## Abstract

The present dissertation "Development of Tourism-recreation Models in Highland Zones of Georgia" - by Nino Shapatava refers to the urgent problems and challenges facing the development of resort&recreation sphere in Georgia. The paper aims at creation of foundation for development of industrial models of tourism and recreation with optimal functioning capabilities based upon the unique curative-recreational resources of the higher mountain zones of Georgia. The present approach allows increased attraction of both national and international holidaymakers, and in line with the sustainable principles of nature use, contributes to the improvement of social-economic conditions locally and countrywide creating new employment opportunities, generating revenues in the local/state budgets, conducting "invisible export" of local products and services, and etc.

Based on its recreational resource deposits and diversity Georgia can very shortly become an attractive destination for national and international tourists and holiday-makers in a global market; Attracting the target audience of the recreants would significantly contribute to the social and economic advancement of the country.

The present dissertation consists of 166 pages and in compliance with the formatting instructions for dissertation submitted to obtain the Doctoral Degree it includes: a cover page, a signature page, abstracts in Georgian and English, content, lists of tables and diagrams; the main body of the text includes: introduction, literature review, findings, conclusions and bibliography. In the introductory part we explore the topicality of the research and the background of the study, we identify the subject, the object and the goal of the study, we provide the objectives fulfilled to achieve the mentioned goal and the theoretical-methodological grounds of the research. It justifies the novelty of the research, the value of its theoretical and practical application, the scientific novelty of the work, approbation and publications.

In the section of literature review we provide well known Georgian and foreign literature that refer to and overview the problems stated in the dissertation, the alternative methods and ways of solving them.

### **The section of findings consists of three chapters:**

**The first chapter** of the presented dissertation - Location of the highland zones in the system of mountainous regions - we have explored the territorial-spatial location of Georgian highland zones, the main orographic elements, landscape zones, minerals, flora and fauna, deposits of underground fresh and mineral waters and etc. We analyzed the demographic status of the highland communities, the uneven settlement of the population, problems of migration and depopulation and etc. Besides, we examined the social and economic status of the

population in the highland zones, analyzed the differences between the rural and urban settlements per main economic activity.

**The second chapter of the present paper** - Determination of the elements of tourism-recreation resources and infrastructure in the highland zones of the country - we have studied and analyzed the existing potential of tourism-recreational resources in the highland zones and provide their classification according to their curing factors; we outline the main types and sub-types of the resorts and characterize the zones of the resorts and sanitary protection in the mentioned area, focusing on the adjacent populated areas where the population traditional exercises the agricultural, economic or other activities. Besides, we have assessed the extreme climate changes caused by global warming or anthropogenic influence and risks challenging the highland regions of Georgia. We have identified the functional elements of the tourism-recreation infrastructure in the highland zones, provided classification of that infrastructure according to the financial source or forms of exploitation, determined the role of the elements of tourism-recreation infrastructure in promotion of the regional tourism branding and in general, in social and economic development of the given region.

**The third chapter** - Impact of the industrial models upon development of the tourism-recreation sphere - we have investigated the complex of measures with regard to organization, development and management of resorts, we characterized the complexes of curative-preventive organizations, examined the features of formation of the contemporary tourism-recreation complexes and the components thereof, we have elaborated classification of the organization of resort-recreation complexes, multi-attributable model and classification of the tourism-recreation product, forms of organizing leisure and free time at the resorts; we elaborated the economic-mathematical model of attracting recreants toward the recreational models in terms of the purpose of their trip. The same chapter addresses the classification of the natural-recreational resources in accordance to their volume and reserves, depletion, self-renewal and replacement features and offers the model for sustainable use of exhaustible natural-recreational resources.

Thus, the findings of our research provide support for the key argument that development of the contemporary curative-recreation production models in highland zones of Georgia, based on diversity of the recreational resources and the requirements/demand of the recreants, will significantly contribute to improvement of the vulnerable demography of the mountainous regions, and make tangible impact upon advancement of the social and economic conditions at both: local and national levels.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**ნაშრომის აქტუალობა.** ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და დინამიური დარგია, ის მსოფლიოს მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია. დარგის ზრდის მაღალი ტემპი და სავალუტო შემოსავლების აკუმულირების მაღალი შესაძლებლობა დადებითად მოქმედებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, რაც ხელს უწყობს ტურისტული დანიშნულების ადგილის მრავალმხრივ განვითარებას.

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების, დასვენების უფლების უზრუნველყოფამ წარმოქმნა დასვენების მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ადამიანებს გაუჩნდათ საკმარისი დრო და ფინანსები მოგზაურობისა და დასვენებისათვის, შესაბამისად, შეიქმნა მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე. ტურისტთა აქტიურობის მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა დარგის, როგორც გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ფენომენის ჩამოყალიბება.

ტურიზმის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ გარემოზე, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, განაპირობებს ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებული კვლევების გაღრმავების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაწყდეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები.

ტურიზმის, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების კატალიზატორის მნიშვნელობა დამოწმებული იქნა სტამბულში (თურქეთი, ნოემბერი 2012წ.) ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ გამართულ საერთაშორისო სამიტზე. სამიტზე წარმოდგენილი პროგნოზის მიხედვით (Tourism 2020 Vision) დადგენილია XXI-ე საუკუნის ტურიზმის

სახეობების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები. მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წლისათვის ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა იქნება საკურორტო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად იქმნება კონკრეტული ტურისტული პროდუქტი. თუმცა, ამავე დროს, ტურისტული პროდუქტი თავისი შემადგენლობით წარმოადგენს ისეთი რთული და მრავალდონიანი ელემენტების ერთობლიობას, როგორცაა: ბუნებრივი რესურსები, ინფრასტრუქტურა (ტურისტის განთავსების, კვების საშუალებები, მოწყობილობა დასვენებისათვის, სპორტისათვის და ა.შ.), გადაადგილების საშუალებები, და მიზნობრივი მომსახურება. ბაზარზე ისინი შეიძლება შეთავაზებულ იქნას როგორც ერთიანი კომპლექსური პროდუქტი, ან დანაწევრებული სახით. ძირითადი ტურისტული მომსახურების გარდა, მნიშვნელოვანია მომსახურების არაძირითადი სახეობებიც, როგორცაა: სადაზღვევო, საბანკო, საკომუნიკაციო და სხვ.

ტურისტული პროდუქტის შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობა გამუდმებით იზრდება და მრავალფეროვანი ხდება. ტურისტულ პროდუქტს, მომსახურების გარდა, წარმოადგენს ზოგიერთი საქონელიც მაგალითად: სუვენირები, სპეციალური ტურისტული აღჭურვილობა და სხვ. მოცემული თემის აქტუალობა საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის სპეციფიკურ თვისებებთანაა დაკავშირებული. ერთის მხრივ, მისი ძირითადი მიზანია ადამიანის მკურნალობა და რეაბილიტაცია, ხოლო მეორეს მხრივ, სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა ბუნებრივ გარემოში დასვენების დროს, ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების გამომუშავება და ამ მიმართულებით პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა. საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარება ზრდის შემოსავლებს, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისათვის, რაც, თავის მხრივ, ქმნის საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის შემდგომი

განვითარების სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

ყოფილ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში განვითარებული საკურორტო ინფრასტრუქტურა არსებობდა, სადაც წლების განმავლობაში მილიონობით ადამიანი ისვენებდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს მოქმედ 500-ზე მეტ საკურორტო-ტურისტულ დაწესებულებაში (სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელ სახლები, ტურისტული ბანაკები და სხვა რეკრეაციული დანიშნულების დაწესებულებები) ერთდროულად 120 ათასზე მეტ კაცს შეეძლო ემკურნალა და დაესვენა. (მაგ. კურორტები: მოაში, შოვი, აბასთუმანი, სამთო ბანაკი „აილამა“ და სხვ.). მაგრამ, გასული საუკუნის 90-ანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად, აღნიშნული ობიექტების უდიდესი უმრავლესობა გაიძარცვა, ან მთლიანად განადგურდა. გადარჩენილი ნაწილი კი, სარგებლობაში გადაეცა იძულებით გადაადგილებულ პირებს.

იმავე პერიოდში და შემდგომ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევდა საქართველოს მოქალაქეებს ესარგებლათ სამკურნალო-საკურორტო მომსახურებით. თუმცა, ბოლო დროს კერძო სამედიცინო-სადაზღვევო ქსელების განვითარებამ და ჯანდაცვის მიმდინარე რეფორმებმა შექმნეს წინაპირობა, რათა მომავალში აღდგენილ და კიდევ უფრო განვითარებულ იქნას საკურორტო მომსახურება, რაც სარეკრეაციო ტურიზმის ინდუსტრიის ხელახალი განვითარების და მისი, როგორც საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ქცევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის დაბალ და საშუალომთიან ზონებში (მაგ., ბორჯომი, საირმე) გარკვეულწილად მოხდა ტურისტულ საკურორტო ინფრასტრუქტურის ხელახლა მოწესრიგება-ფუნქციონირება, მაღალმთიან ზონებში ასეთი მიდგომები ნაკლებად აღინიშნება. ასათვისებელი რჩება სამკურნალო-რეკრეაციული

რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოდელების ფუნქციონირება (რაც ამავდროულად ითვალისწინებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასაც) ხელს შეუწყობდა ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების ფუნქციონირებას, რაც წინაპირობაა აგრეთვე, რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ისიც, რომ საქართველოს სამკურნალო რესურსული სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი შემოსავლის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის.

დღეს, საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარებას გარკვეულწილად ხელს უშლის, ამ სფეროში დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა (კანონები და კანონქვემდებარე აქტები), მოცემული მიმართულებით კერძო ინვესტიციების მოტივაციის ნაკლებობა, სპეციფიკური მომსახურე პერსონალის ნაკლებობა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, რეგიონულ დონეზე არასაკმარისი ჩართულობა და სხვ.

დასმული პრობლემების აქტუალობამ, მათმა თეორიულმა, მეთოდოლოგიურმა და პრაქტიკულმა მნიშვნელობამ, რიგი გადაუჭრელი და სადისკუსიო საკითხების არსებობამ განაპირობა კვლევის თემის შერჩევა შემდეგი მიმართულებით:

**კვლევის საგანი.** საქართველოს მაღალმთიან ზონებში არსებული საკურორტო-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის, ინფრასტრუქტურისა და მისგან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი.

**კვლევის ობიექტი.** საქართველოს მაღალმთიან ზონებში საკურორტო-რეკრეაციული საწარმოების ზეგავლენა საკურორტო-რეკრეაციული სფეროს ფორმირებაზე და განვითარების პერსპექტივები თავისი თანმდევი პროცესებით, საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მთლიანობაში, ეკონომიკის განვითარების საქმეში.



**კვლევის მიზნები და ამოცანები.** კვლევის მიზანია, საქართველოს მაღალმთიან ზონებში არსებული განსაკუთრებული თვისებების მქონე სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და ოპტიმალური ფუნქციონირების, ტურისტულ-რეკრეაციული საწარმოო მოდელის განვითარებისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავება, რაც, ბუნებათსარგებლობის მდგრადი პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც ადგილობრივი, ისე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. კვლევის მიზნის მიღწევას განაპირობებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- მაღალმთიანი ზონების ტერიტორიულ-სივრცული მდებარეობის განსაზღვრა;
- მაღალმთიან ზონებში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი;
- მაღალმთიან ზონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი;
- მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ რეკრეაციული რესურსების შესწავლა და ანალიზი;
- მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია მათი ნიშან-თვისებებისა და დანიშნულების მიხედვით;
- მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების თვისებებიდან გამომდინარე, მათი შემდგომი გამოყენების მიზანშეწონილობისა და პერსპექტივების დადგენა;
- საქართველოს მაღალმთიან ზონებში ტურისტულ-სარეკრეაციო საწარმოო მოდელის ფორმირების მნიშვნელობისა და თავისებურებების დადგენა;

- საკურორტო-რეკრეაციულ საწარმოებში რეკრეანტთა მიდრეკილებისა და რეკრეაციული გარემოს მიმზიდველობის მოდელის შემუშავება;

- მიღწეადი რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება;

- საკურორტო-რეკრეაციული საწარმოო მოდელების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის ფაქტორების დადგენა რეგიონულ დონეზე.

**კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს გამოჩენილ მეცნიერთა და ცნობილ ეკონომისტთა ფუნდამენტური გამოკვლევები; სხვადასხვა მკვლევართა ანალიტიკური შრომები ტურიზმისა და კურორტოლოგიის საკითხებზე; საქართველოს მთავრობის საპროგრამო დოკუმენტები; პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები; საქსტატისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები და ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. სადისერტაციო ნაშრომის ინფორმაციული წყაროა საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემები და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური კრებულები და მასალები, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის საინფორმაციო მონაცემები და ინტერნეტ რესურსები.

ნაშრომში, კვლევის დიალექტიკურ მეთოდთან ერთად, გამოყენებული იყო სინთეზის და ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

**მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. ჩამოყალიბებულია მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია ძირითადი კატეგორიების (კლიმატური, ბალნეო, კლიმატო-ბალნეოლოგიური, ბალნეო-კლიმატური) და დანიშნულების ადგილის მიხედვით;

2. ჩამოყალიბებულია საქართველოს მაღალმთიან ზონებში სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების სახესხვაობების თვისებებზე

ორიენტირებული, რეკრეანტთა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შესაბამისი საწარმოო მოდელების ტიპების მნიშვნელობა და თავისებურებები.

3. დასაბუთებულია მაღალმთიან ზონებში არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების, მათი ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სანიტარული ზონების აუცილებლობა;

4. შემუშავებულია საქართველოს მაღალმთიან ზონებში სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკრეანტთა მიზიდვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი;

5. განსაზღვრულია ტურისტულ-რეკრეაციული საწარმოო მოდელების ფუნქციონირების ეფექტიანობა;

6. დასაბუთებულია სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების გამოყენებით და საწარმოო მოდელების ამოქმედებით, საქართველოს მაღალმთიანი ზონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა;

7. შემუშავებულია ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

**სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.**  
კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დებულებები, ანალიტიკური და ფაქტობრივი მასალა, წინადადებები და რეკომენდაციები მდგომარეობს იმაში, რომ ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მეცნიერების მიერ, რომლებიც მუშაობენ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე. ასევე, საქართველოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მიერ რომლებიც ეწევიან სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას. ყველა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი

რომლებიც ეწევიან ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმიანობას საქართველოში ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად.

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა ჩამოყალიბებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

## **შესავალი**

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

#### **თავი 1. მაღალმთიანი ზონების ადგილი ქვეყნის მთიანი რეგიონების სისტემაში**

- 1.1. მაღალმთიანი ზონების ტერიტორიულ-სივრცული ადგილმდებარეობის განსაზღვრა
- 1.2 მაღალმთიან ზონებში არსებული დემოგრაფიული ვითარების დადგენა
- 1.3 მაღალმთიან ზონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი

#### **თავი 2. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრა ქვეყნის მაღალმთიან ზონებში**

- 2.1 მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების დადგენა და მათი კლასიფიკაცია
- 2.2 მაღალმთიან ზონებში არსებული კურორტების, საკურორტო ადგილებისა და სანიტარული დაცვის ზონების დახასიათება
- 2.3 მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის ელემენტების დადგენა

#### **თავი 3. საწარმოო მოდელების ზეგავლენა ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს განვითარებაზე**

- 3.1 საწარმოო მოდელების ფორმირების მნიშვნელობა და თავისებურებები

3.2 საწარმოო მოდელებში რეკრუენტთა მიზიდვის ეკონომიკურ მათემატიკური მოდელი

3.3 ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრუაციული რესურსების მდგრადი გამოყენების მოდელი

**დასკვნა.**

**გამოყენებული ლიტერატურა**

### **ნაშრომის მოკლე შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ტურისტულ-საკურორტო მოდელების განვითარებას საქართველოს მაღალმთიან ზონებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას როგორც საქართველოს რეგიონული განვითარების, ისე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

**სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში** – მაღალმთიანი ზონების ადგილი ქვეყნის მთიანი რეგიონების სისტემაში – განხილულია საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, შესწავლილია მაღალმთიანი ზონების ტერიტორიულ-სივრცული ადგილმდებარეობა, შესწავლილია მთავარი ოროგრაფიული ელემენტები, ლანდშაფტური ზონები, სასარგებლო წიაღისეული, ფლორა და ფაუნა, მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების რესურსული მარაგები და სხვ. გაანალიზებულია აღნიშნულ ზონებში არსებული თემების დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის განსახლება, სიმჭიდროვე, მიგრაციული პრობლემები და სხვ.

ქვეყანაში, გასული საუკუნის 90 წლებიდან დაწყებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა ბიძგი მისცა ქვეყანაში უკონტროლო მიგრაციულ პროცესებს როგორც ქვეყნის შიგნით (სასოფლო დასახლებებიდან ქალაქებისკენ) ისე, ქვეყნის საზღვრებს გარეთ (ძირითადად არალეგალური ემიგრაცია უცხოეთის ქვეყნებში), რამაც,

მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია პირველ რიგში საქართველოს მთიანი რეგიონების დემოგრაფიულ ვითარებაზე.

შესწავლილი და გაანალიზებულია მაღალმთიანი ზონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ზონებიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. გაანალიზებულია ურბანულ დასახლებებს შორის არსებული განსხვავებები ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით. შესწავლილი მასალიდან ნათლად იკვეთება, რომ საქართველოს რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობით. ძირითადად, ესენია 3 მთავარი სექტორი: პირველადი სექტორი - სოფლის მეურნეობა; მეორადი სექტორი - მრეწველობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და მშენებლობა; მესამე რიგის სექტორს მიეკუთვნება - ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.

**ნაშრომის მეორე თავში** – ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრა ქვეყნის მაღალმთიან ზონებში - ჩვენ მიერ გაანალიზებული და შესწავლილია: მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი და მათი კლასიფიკაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების მიხედვით; კურორტებისა და საკურორტო ადგილების ძირითადი ტიპები და ქვეტიპები; დახასიათებულია ზემოთ მოყვანილ ზონებში არსებული კურორტების, საკურორტო ადგილებისა და სანიტარული დაცვის ზონები; ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენარჩუნების ღონისძიებები. ასევე, ყურადღება გამახვილებულია საკურორტო ადგილების მომიჯნავე დასახლებულ ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობა ტრადიციულად ეწევა სამეურნეო, ეკონომიკურ თუ სხვა სახის საქმიანობას. აგრეთვე, განხილულია კლიმატური ცვალებადობით თუ ანთროპოგენური ზეგავლენით გამოწვეული ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები და

რისკები. დადგენილია მაღალმთიან ზონებში არსებული ტურისტულ-საკურორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციური ელემენტები. მოცემულია ტურისტულ-საკურორტო ინფრასტრუქტურის კლასიფიკაცია დაფინანსების წყაროებისა და ექსპლუატაციის ფორმების მიხედვით. განხილულია ტურისტულ-საკურორტო ინფრასტრუქტურის ელემენტების როლი რეგიონული ტურისტული ბრენდის ხელშეწყობისა და ზოგადად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. შესწავლილი და დასაბუთებულია მაღალმთიანი ზონების სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების საკურორტო სიმძლავრეებისათვის გამოყენების აუცილებლობა.

**ნაშრომის მესამე თავში** – საწარმოო მოდელების ზეგავლენა ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს განვითარებაზე - გამოკვლეულია კურორტების საორგანიზაციო, კომპლექსური განვითარებისა და მართვის ღონისძიებების კომპლექსი; დახასიათებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების კომპლექსები; შესწავლილია თანამედროვე საკურორტო კომპლექსები და მათი სტრუქტურა, ასევე, მათი საკურორტო-რეკრეაციული ფორმირების თავისებურებები და შემადგენელი კომპონენტები; შემუშავებულია საკურორტო-რეკრეაციული კომპლექსების ორგანიზაციისა და პროდუქტის მულტი-ატრიბუტული მოდელი და კლასიფიკაცია; კურორტებზე დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზების ფორმები; შემუშავებულია საკურორტო საწარმოო მოდელებში რეკრეანტთა მიზიდვის ეკონომიკურ მათემატიკური მოდელი, რომელიც შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :

$$K_{int} = \frac{\sum_{int}^n K_i}{n}$$

სადაც,  $K_{int}$ . - მიდრეკილების ინტეგრირებული კოეფიციენტი;

$K_i$  - i-ური ფაქტორის სუბინდექსი;

n - ფაქტორთა რიცხვი.

სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგი ფორმულით;

$$K_i = \frac{X_i - X_{min}}{X_{max} - X_{min}} \dots\dots\dots (1)$$

სადაც, ჩართული იქნა გაჯანსაღების კოეფიციენტის ცნება, რომელიც შემდეგნაირად გამოისახება:


$$K_H = 1 - K_{int}, \dots\dots\dots (2)$$

სადაც  $K_{int}$  არის ინტეგრირების კოეფიციენტი.

აღნიშნული მოდელის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია განისაზღვროს პირველ რიგში - სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების მიმართ რეკრეანტთა მიდრეკილების კოეფიციენტი, რომელიც შემდეგნაირად გამოისახება:

$$K_{int} = \frac{\sum K_i}{n} \dots\dots\dots (3)$$

აღნიშნულ მოდელში ინტეგრირების კოეფიციენტი მიგვითითებს ამა თუ იმ დაავადების მქონე პაციენტების/რეკრეანტების მიდრეკილებას რეკრეაციული რესურსების მიმართ, ხოლო გაჯანსაღების კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რეკრეაციული რესურსის მიმზიდველობის ხარისხი, რისთვისაც შევიმუშავეთ მიმზიდველობის შემდეგი დამოკიდებულება:




აღნიშნულმა მოდელმა საშუალება მოგვცა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ჩაგვეტარებინა გათვლები დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით. სადაც, ბოლო სამ წელიწადში რეგისტრირებული ავადმყოფების მიდრეკილება რეკრეაციული რესურსების მიმართ გაშუალდებული იყო 50,3% (საშუალოზე ძლიერი), ხოლო გაჯანსაღების კოეფიციენტი - აღნიშნულის 49,7% (საშუალოზე ძლიერი).



ამავე თავში ჩამოყალიბებულია ასევე, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია მათი მოცულობისა და მარაგების, მილევადობის, თვითაღდგენისა და ჩანაცვლებადობის თვისებების მიხედვით. ასევე, აღნიშნული რესურსების მდგრადი გამოყენების საჭიროება, რაც გულისხმობს სამრეწველო მიზნით ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მუდმივ გამოყენებას თავისი თვითაღდგენის პერიოდების გათვალისწინებით, და რაც საშუალებას იძლევა, რომ მოცემული რესურსი შენარჩუნებული იქნას მუდმივი სარგებლობისათვის.

აღნიშნული თვალსაზრისის დასაბუთების მიზნით ჩვენ მიერ შემუშავებულია დამოკიდებულება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაციასა და რესურსული მარაგების აღდგენის ციკლთან (იხ. დიაგრამა 1), და მათი ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა რესურსულ მარაგებთან. ამ მიზნით, დასაბუთებულია ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი, ოპტიმალური გამოყენების აუცილებლობა.

დიაგრამა. 1. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაცია და რესურსული მარაგების აღდგენის ციკლი



სადაც: **ab** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების მონაკვეთია;

**bP** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების აღდგენის ბოლო მონაკვეთი;

**cP** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გადაღლის მონაკვეთი;

**dc** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მიღწევადობის მონაკვეთი.

გარდა ამისა, შემუშავებულია ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების მოდელი რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\left( \sum_{tij=1}^n W_{tij} + \sum_{tij=1}^n V_{tij} \right) - \sum_{tij=1}^n Z_{tij} = Ps - Qs = Cs \dots \dots \dots (1)$$

სადაც:

**W** - არსებული ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსული მარაგის მოცულობაა;

**V** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების კვლავწარმოების შედეგად შექმნილი მარაგი;

**Z** - გამოსაყენებელი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსი;

**t** - ტერიტორია, სადაც არსებობს და ხდება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენება და იგი იცვლება 1- დან n - მდე;

**i** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სახეობებია და იგი იცვლება 1- დან n - მდე;

**j** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მოცულობითი სიმძლავრე, იგი იცვლება 1- დან n - მდე;

**Ps** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სტაბილური ამონაგები;

**Qs** - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაციისთვის გაწეული სტაბილური საწარმოო ხარჯები;

Cs - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სტაბილური წმინდა მოგება;

S - სტაბილურობის მაჩვენებელი თანხებში.

დღეს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რეკრეაციული რესურსების გამოყენების დიდი ინდუსტრია ფუნქციონირებს, რასაც შედეგად მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს. აღნიშნული ინდუსტრიის ქვეშ მოიაზრება რეკრეაციული საწარმოები კურორტები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვ.), რომლებიც რეკრეაციული რესურსების გამოყენებით ხელს უწყობენ ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაჯანსაღებას. შესაბამისად, საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის ხანგრძლივი და ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია ბუნებრივ რეკრეაციული რესურსების ოპტიმალური და მდგრადი გამოყენების პრინციპების გათვალისწინება, განსაკუთრებით ეს ეხება ამოწურვად რესურსებს, რომლებიც მცირდება მათი გამოყენების გადაჭარბებული ექსპლუატაციის შედეგად. შესაბამისად, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ამოწურვა (გადაგვარება–გადაშენება) იწვევს საწარმოო ციკლების შეჩერებას და ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტას.

## დასკვნა

დღეისათვის, ტურიზმი ერთ-ერთ უმსხვილეს ინდუსტრიად მიიჩნევა მსოფლიოში. 2014 წლისათვის ყოველი მეთერთმეტე სამუშაო ადგილი ტურისტულ ბიზნესზე მოდის. სუფთა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ამ ინდუსტრიას მოაქვს, ცალსახად მაღალია. მაგალითად, საერთაშორისო ტურიზმით მიღებულმა შემოსავლებმა 2014 წელს 1245 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც მსოფლიოს მომსახურების ექსპორტის 30%-ს შეადგენს. ყოველწლიურად ტურისტების და მოგზაურთა რაოდენობა იზრდება და არსებული პროგნოზებით, 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1.6 მილიარდამდე გაიზრდება.

ბოლო პერიოდში, საქართველოს ხელისუფლებამ მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიზნით აქტიური ხელშეწყობი კამპანია წამოიწყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის საშუალებით საკუთარი საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში დაეხმარება. თუმცა, ტურიზმის განვითარება ჯერ-ჯერობით, გარკვეული მიზეზების გამო საკმაოდ ქაოტურად მიმდინარეობს. გრძელვადიანი დაგეგმარების არარსებობა, პროფესიონალური კადრების ნაკლებობა და სხვა მიზეზები აფერხებს ქვეყანაში ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

ტექნოლოგიური პროგრესი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც სამოგზაურო და ტურისტულ ინდუსტრიაში ფინანსურ ზრდას განაპირობებს. უფრო იაფმა და ეფექტურმა ტრანსპორტირებამ, კეთილდღეობის ზრდამ, სასტუმრო ბიზნესის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტურიზმის გაფართოვება და მასზე მოთხოვნის ზრდა. მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისისა და არასასურველი კონიუნქტურის პირობებშიც კი, ტურიზმმა შეინარჩუნა ზრდის მაღალი ტენდენციები. იგი სტიმულს აძლევს, ქვეყანაში როგორც ეკონომიკის დარგების, ისე სოციალურ-კულტურულ განვითარებასაც. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ქვეყნის ინდივიდუალიზმი უპირველესად მის ეთნო-კულტურაში გამოიხატება. საქართველო გამოირჩევა რეკრეაციული რესურსების, კულტურისა და ბუნების ძეგლების მრავალფეროვნებით, რაც ტურისტული მოგზაურობის მოტივაციის ფორმირების უმთავრესი ელემენტია.

წარმოდგენილი კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს, ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგობრივი ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში ჩამოყალიბებული მიდგომები გამოსადეგი იქნება

მოცემული სფეროში სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების დროს.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმი სულ უფრო მიმზიდველი და აუცილებელი ხდება როგორც ადამიანის დასვენებისა და ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი საშუალება.
2. საქართველოს მდიდარი, უნიკალური, სამკურნალო თვისებების მქონე მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსები, აუცილებელი პირობაა ქვეყანაში საკურორტო - რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის.
3. ჩვენ მიერ დადგენილია რომ, რეკრეაციული რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, საქართველოს მაღალმთიან ზონებს საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს. თუმცა, დღეისათვის ეს პოტენციალი სუსტადაა რეალიზებული ტურიზმის ინდუსტრიაში და შესაბამისად, დღეისათვის ფორმირებულ ტურისტულ პროდუქტში ჯეროვნად ვერ აისახება მაღალმთიანი ზონების სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების გამოყენება.
4. საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია, შესაბამისი სტრატეგიების ფორმირება რაც დაკავშირებულია განვითარების კონცეპტუალურ საკითხებთან, ნორმატიულ, ორგანიზაციულ, საფინანსო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან.
5. თანამედროვე საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ხუთ ძირითად მიმართულებას. ესენია: ანალიტიკური, პროგნოზული, მიზნობრივი, ორგანიზაციული და რესურსული;

6. საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესურსულად განვითარებული რეგიონებისათვის თავისუფალი საკურორტო ეკონომიკური ზონების შექმნა–ფორმირება.
7. ბუნდოვანია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები (საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ) მთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების დასარეგულირებლად და საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.
8. საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარება საჭიროებს მთელი რიგი ამოცანების გადაჭრას, რომელთა შორისაცაა: საკანონმდებლო რეგულირება, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომები, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, დარგის ფუნქციონირებაზე მუდმივი მონიტორინგი, უსაფრთხო და მდგრადი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ეფექტიანი სახელმწიფო ღონისძიებათა დაგეგმვა, დაფინანსება და რეალიზაცია, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება.
9. რამდენადაც კურორტების განვითარება პირდაპირ აისახება რესურსულად მდიდარ სამთო რეგიონების განვითარებაზე, ქვეყნის მაღალმთიან ზონებში საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმი შეიძლება გახდეს ადგილობრივი ეკონომიკური დარგების განვითარების ხელშემწყობი ეფექტური საშუალება.
10. საქართველოს მაღალმთიან ზონებში საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას და კურორტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას დიდი სახსრები ჭირდება, რომელთა პრობლემების გადაჭრა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების საშუალებით.
11. მაღალმთიან ზონებში საკურორტო ობიექტების განვითარება შეაფერხებს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს, შექმნის დამატებით

შემოსავალს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და სხვ.

12. საკურორტო ბიზნესის სწრაფად და ეფექტურად განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკურორტო ზონებში მოქმედი კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

13. ვინაიდან, საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის ხარისხიანი ფუნქციონირება მოითხოვს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას, აუცილებელია თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი კადრების მომზადება.

14. რამდენადაც 2010 წელს საქართველო მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომლის რატიფიცირების შემდგომ ქვეყანას წარმოეშვა "გონივრული მისადაგებისა" და "უნივერსალური დიზაინის" უზრუნველყოფის ვალდებულებები, საჭიროა, რომ ხსენებული ვალდებულებები გათვალისწინებული იყოს საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის დაგეგმვის, მოდერნიზების, მშენებლობისა და განვითარების ყველა ეტაპზე.

15. განვითარებულ ქვეყნებში გამაჯანსაღებელ ტურიზმზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში, ბოლო წლებში შეიმჩნევა საკურორტო მომსახურების სამედიცინო დაზღვევაში შეტანის ტენდენცია, რაც შესაძლებლობებს ქმნის საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის შეთავაზებას.

16. მნიშვნელოვანია გააქტიურდეს საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის როლი იმ ტერიტორიული ერთეულების შემოსავლების ზრდაში, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ან არსებული ტერიტორიები გარკვეულწილად გამოუსადეგარია ამისათვის.

17. საკურორტო-რეკრეაციული პროდუქტის ფორმირებაში აუცილებელია ჩართული იყოს რეგიონის ადგილობრივი ადამიანური

რესურსები, ეთნოგრაფიული თავისებურებები და თვითმყოფადი კულტურის სხვა ელემენტები.

18. ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით გაანგარიშებული რეკრეანტთა გაჯანსაღების მაჩვენებელი ადასტურებს, რომ საქართველოში სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების მიმზიდველობა ძლიერია.

19. ჩვენი აზრით, ჩატარებული გაანგარიშებები მიუთითებს, რომ საჭიროა სამკურნალო კურორტებზე სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების შეტანა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამკურნალო პროგრამებში (სადაზღვევო პაკეტი). განსაკუთრებით მძიმე დაავადებების შემთხვევაში.

20. საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს საკურორტო-რეკრეაციულ მეურნეობის აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით.

21. ამოწურვადი რეკრეაციული რესურსების სამრეწველო თვალსაზრისით ჭარბად გამოყენება, იწვევს აღნიშნული რესურსების გადაშენება-გაქრობას. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გამოყენება მხოლოდ ოპტიმალური დამოკიდებულების თვალსაზრისით.

22. რეკრეაციული სისტემა საკმაოდ მგრძობიარეა როგორც ადამიანების, ისე გარემო ბუნების ცვალებადობასთან დაკავშირებით, ამიტომ, რესურსების ექსპლუატაციის დროს აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას ეკოლოგიური წონასწორობა.

23. საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარება უნდა მოხდეს რეგიონებში არსებულ გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

24. რადგან, საქმიანობის ძირითადი სახე ბუნებრივი რესურსების აქტიურ მოხმარებასთანაა დაკავშირებული, მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა კონკრეტულ ტერიტორიებზე ქცევის გარკვეული წესებისა და გამოყენების ნორმატივების შემოღება-



დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ამოწურვადი სამკურნალო რესურსების დაზიანება-განადგურება.

25. ბუნებრივი გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებლობიდან გამომდინარე, საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარების სტრატეგიების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს – ადგილობრივი მოსახლეობისათვის რესურსებით გრძელვადიანი და მდგრადი სარგებლობის რეგულირება; მორალური პასუხისმგებლობისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბება ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ და სხვ.

26. მდგრადი განვითარების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნას რეკრეაციული რესურსების დაცვისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების თანაფარდობა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა მიერ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციას - იცხოვრონ და ისარგებლონ ჯანსაღი გარემოთი.

27. შესაქმნელია განვითარების ერთიანი სტრატეგია, რომლის დროსაც საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმი ინტეგრირებული იქნება რეგიონულ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში, რომელიც თავისთავად დაკავშირებულია სოფლისა და სატყეო მეურნეობის, სამთო მომპოვებელი ინდუსტრიის, ტრანსპორტის, კულტურის, სპორტის, სასტუმრო ინდუსტრიის, ჯანდაცვის, ნარჩენების უტილიზაციისა და სხვა განვითარების გეგმებთან;

28. შემოთავაზებული მეთოდები, მიდგომები, საკურორტო-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია შეიძლება რეკომენდებული იქნას რეგიონულ და ადგილობრივ სტრატეგიულ პროგრამებში გამოყენებისათვის, საკურორტო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის, რაც მთლიანობაში, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას.

**ნაშრომის აპრობაცია** – სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები, ავტორის მიერ ასახულ იქნა კოლოქვიუმებში, სემინარებსა და გამოქვეყნებულ სტატიებში შემდეგი თანმიმდევრობით:

1. კოლოქვიუმი – მაღალმთიანი ზონების ადგილი ქვეყნის მთიანი რეგიონების სისტემაში – 05.02.2015.

2. კოლოქვიუმი – ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ელემენტების განსაზღვრა ქვეყნის მაღალმთიან ზონებში - 30.06.2015.

3. კოლოქვიუმი – საწარმოო მოდელების ზეგავლენა ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს განვითარებაზე. 16.02 2016.

1. სემინარი – ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში - 04.02.2015.

2. სემინარი – მედიაციის როლი კონფლიქტების ალტერნატიული გზით მოგვარებაში - 29.06.2015.

ცალკეული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია შემდეგ რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში:

1. **ბარკალაია ბ., შაფათავა ნ.**, - "ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენებისა და მართვის იმიტაციური მოდელების საფუძვლები", მე-V საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა და ბიზნესი“ ბათუმი. 5–6 ივლისი. 2014წ, გვ. 423-429;

2. **ბარკალაია ბ., შაფათავა ნ.** - "რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზეგავლენის გაზომვა" - II საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2014, "ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუმინ, დღეს, ხვალ“, რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ (სტუ) №3. 2014წ. გვ.187-190;

3. ბარკალაია ბ., შაფათავა ნ., ვაშაკიძე ა., ტურისტული პროდუქტის ფორმირებისათვის ძირითადი საკითხების განსაზღვრა, თბ. "ეკონომიკა" #1-2, 2015, გვ. 66-74;

4. შაფათავა ნ., ტურიზმსა და კრეატიულ სექტორებს შორის ურთიერთკავშირი როგორც ინოვაციური ტურიზმის წარმატების საწინდარი. თბ. "ეკონომიკა" #1-2, 2015, გვ. 90-97;

5. შაფათავა ნ., რეკრეაციული რესურსები და რეკრეაციული კომპლექსების ფორმირების პირობები, თბ. "ეკონომიკა", #1-2, 2016, გვ.155-163;

6. შაფათავა ნ., რეკრეანტთა მოთხოვნილებები და საკურორტო-რეკრეაციული გარემოს მიმზიდველობის მოდელი, თბ. "ეკონომიკა", #5, 2016;

7. შაფათავა ნ., სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი როგორც განვითარების პერსპექტიული ფორმა საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, "ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები", სეუ, თბ., 07-08 მაისი 2016.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 164 გვერდს. იგი შედგება შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების განსჯისა და დასკვნითი ნაწილისაგან. შედეგების განსჯა, თავის მხრივ, მოიცავს სამ თავს და ცხრა ქვეთავს, ჩართულია 6 ცხრილი, და 15 დიაგრამა. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.